

ქ. თბილისი

ერთის მხრივ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი კობერიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „მშენებელი 2012“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვახტანგ კაპანაძის სახით „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის, მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 15 მარტის N432 განკარგულებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 29 იანვრის N349 განკარგულების საფუძველზე (SMP160000375) შ.პ.ს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ 2016 წლის საკუთარი სახსრებით დაფინანსების ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც შეასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ბორჯომის და ბაკურიანის სერვის ცენტრების სამოქმედო ტერიტორიაზე წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის საჭირო ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა (შესყიდვის დანაყოფი - 45200000 - სანუშაოები მთლიან ან ნაწილობრივ მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები, CPV 45233222- მოკირწყლევისა და მოასფალტების სამუშაოები).
- 2.2 შესასრულებელი სამუშაოს ზუსტი აღწერა (ხარჯთაღრიცხვა) მოცემულია დანართი N1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3 ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1 ხელშეკრულების სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს 3200 (სამიათას ორასი) ლარს.
- 3.2 ერთეულის ფასები და დაზიანებული ასფალტის ადგილმდებარეობა მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ N1-ში.
- 3.3 ხელშეკრულების ზუსტი ღირებულება გამოითვლება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით.
- 3.4 შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის დაზუსტება მოხდება მხარეთა მიერ შედგენილი დეფექტური აქტის საფუძველზე, რომელსაც შემსყიდველის მხრიდან ხელს მოაწერენ შესაბამისი სერვის ცენტრი მენეჯერები.
- 3.5 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს (დღგ-ს ჩათვლით).
- 3.6 ხელშეკრულების ღირებულების (ერთეულის ფასების) შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

4 ანგარიშსწორების წესი

- 4.1 „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.
- 4.2 დაფინანსების წყარო: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ 2016 წლის საკუთარი სახსრები.
- 4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით, დეფექტური აქტის, მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიმწოდებლის მიერ წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.
- 4.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების კონტროლი (ინსპექტირება).
- 5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ შესაბამისი სერვის ცენტრი მენეჯერები.
- 5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.
- 5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6 შესყიდვის ობიექტის პირობები, ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

- 6.1 შესრულებელი სამუშაო უნდა აკმაყოფილებდეს დანართი N1-ში (ხარჯთაღრიცხვა) მითითებულ პირობებს.
- 6.2 მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2016 წლის 25 დეკემბრამდე ეტაპობრივად, შემსყიდველის საჭიროების და მოთხოვნის შესაბამისად შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა.

6.3 შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ ეტაპობრივად, ფაქტურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

6.4 მიღება-ჩაბარების აქტს შემსყიდველის მხრიდან ხელს მოაწერს შესაბამისი სერვისის ცენტრი მენეჯერები.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 "შემსყიდველი" უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს "მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7.2 "შემსყიდველი" ვალდებულია უზრუნველყოს "მიმწოდებლის" მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 "მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოსთხოვოს "შემსყიდველს" შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 "მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) შესასრულოს სამუშაოები სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით.

ბ) უზრუნველყოს სამუშაოების შესრულება ტექნიკური პირობების შესაბამისად;

გ) უზრუნველყოს მისი ზრალულობით „შემსყიდველისთვის“ მიყენებული მატერიალური და არა მატერიალური ზარალის ანაზღაურება.

8. საგარანტიო პირობები

შესრულებულ სამუშაოებზე ვრცელდება საგარანტიო ვადა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) კალენდარული წელი. აღნიშნული ვადის განმავლობაში საფარის დაზიანების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ განხორციელებული შეტყობინების მიღებიდან 14 სამუშაო დღის განმავლობაში შეაკეთოს დაზიანებული საფარი.

9. პასუხისმგებლობა

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, "მიმწოდებელი" ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, "შემსყიდველი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს "მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 ამ მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო დ პირგასამტეხლოს თანხები დაუკავდება მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან, იმ შემთხვევაში თუ სამუშაოები არ არის შესრულებული მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში გადაიხადოს შესაბამისი თანხა შესმსყიდველის სასარგებლოდ, ხოლო იმ შემთხვევაში თუ შესრულებული სამუშაოების ღირებულება ნაკლებია საჯარიმო თანხაზე მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში გადაიხადოს შესმსყიდველის სასარგებლოდ საჯარიმო თანხებსა და შესრულებული სამუშაოების ღირებულებას შორის არსებული სხვაობა შესმსყიდველის სასარგებლოდ.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 იანვრის ჩათვლით გარდა ამ ხელშეკრულების მე-8 მუხლისა.

10.2 ხელშეკრულების მე-8 მუხლი ძალაშია მთელი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში

11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.3 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე

12 ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის ვადაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამოწვევი მიზეზების შესახებ.

12.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

13 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14 დამატებითი პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან.

14.4 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.


15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

შპს "საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია"
მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველა 76 ბ
სს „ლიბერთი ბანკი“
ცენტრალური ფილიალი
კოდი: LBRTGE22
ა/ა N GE77LB0113123325230012
ს/კ 412670097

მიმწოდებელი:

შპს „მშენებელი 2012“
მის: ქ. ბორჯომი სააკაძის ქ. N2
ტელ: 595583158; 599580942
სს „თი ბი სი ბანკი“
კოდი: TBCBGE22
ა/ა N GE41TB7724336080100001
ს/კ 426109622



გიორგი კობერიძე
დირექტორი



ვახტანგ კაპანაძე
დირექტორი

მოამზადა:

შესყიდვების დეპარტამენტის

გამარტივებული შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი:

შეთანხმებულია:

შესყიდვების დეპარტამენტის გამარტივებული

შესყიდვების სამსახურის უფროსი:

შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი:

დირექტორის მოადგილე ფინანსურ საკითხებში:

ბორჯომის სერვის ცენტრის მენეჯერი:

ბაკურიანის სერვის ცენტრის მენეჯერი:

სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ფილიალის მენეჯერის
მოვალეობის შემსრულებელი:

თინათინ სანაია

მალხაზ ლაბაძე

ჯაბა შავულაშვილი

ეკატერინე გალდავა

ზურაბ კოპაძე

ბესარიონ ფილაური

გივი შეშაბერიძე

ხარჯთაღრიცხვა

ზორჯომი										
№	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთ.	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		მანქანა-მექანიზმები		სულ ჯამი
				ერთ. ფასი	ჯამური ფასი	ერთ. ფასი	ჯამური ფასი	ერთ. ფასი	ჯამური ფასი	
1	ასფალტის ზედა ფენა სისქით 4სმ	მ ²	1	15,80	15,80	2,50	2,50	4,90	4,90	23,20
	ქვესაგები ფენის მოწყობის სისქით-12სმ	მ ²	1	3,00	3,00	1,60	1,60	0,60	0,60	5,20
	ჯამი									28,40
	ზედნადები ხარჯი	ლარი	5%							1,42
	ჯამი	ლარი								29,82
	გეგმიური დაგროვება	ლარი	5%							1,49
	ჯამი	ლარი								31,31
	დღგ	ლარი	18%							5,64
	ჯამი	ლარი								36,95

2	ასფალტის ზედა ფენა სისქით 5სმ	მ ²	1	20,60	20,60	2,50	2,50	4,90	4,90	28
	ქვესაგები ფენის მოწყობის სისქით-10სმ	მ ²	1	2,50	2,50	1,10	1,10	0,60	0,60	4,20
	ჯამი									32,20
	ზედნადები ხარჯი	ლარი	5%							1,61
	ჯამი	ლარი								33,81
	გეგმიური დაგროვება	ლარი	5%							1,69
	ჯამი	ლარი								35,50
	დღგ	ლარი	18%							6,39
	ჯამი	ლარი								41,89

ბაკურიანი										
1	ასფალტის ზედა ფენა სისქით 4 სმ	მ ²	1	15,80	15,80	2,50	2,50	6,00	6,00	24,30
	ქვესაგები ფენის მოწყობის სისქით-12სმ	მ ²	1	3,50	3,50	1,80	1,80	1,70	1,70	7,00
	ჯამი									31,30
	ზედნადები ხარჯი	ლარი	5%							1,57
	ჯამი	ლარი								32,87
	გეგმიური დაგროვება	ლარი	5%							1,64
	ჯამი	ლარი								34,51
	დღგ	ლარი	18%							6,21
	ჯამი	ლარი								40,72

2	ასფალტის ზედა ფენა სისქით 5სმ	მ²	1	20,60	20,60	2,50	2,50	6,00	6,00	29,10
	ქვესაგები ფენის მოწყობის სისქით-10სმ	მ²	1	3,10	3,10	1,40	1,40	1,70	1,70	6,20
	ჯამი									35,30
	ზედნადები ხარჯი	ლარი	5%							1,77
	ჯამი	ლარი								37,07
	გეგმიური დაგროვება	ლარი	5%							1,85
	ჯამი	ლარი								38,92
	დღგ	ლარი	18%							7,01
	ჯამი	ლარი								45,92

შენიშვნა: ფასები დამრგვალებულია მუასედამდე სიზუსტით.

„შემსყიდველი“

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“



გიორგი კობერიძე
დირექტორი



„მიმწოდებელი“

შპს „მშენებელი 2012“



ვახტანგ კაპანაძე
დირექტორი

